


საგზვილოგო პოლიტიკა

ახალი მიდგომების და პერსპექტივების ძიებაში



სოციალური
საზოგადოებრივი
ცენტრი

სამშვიდობო პოლიტიკა - ახალი მიდგომების და პერსპექტივების ძიებაში

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
თბილისი, 2021

დოკუმენტი მომზადდა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის მიერ მხარდაჭერილი პროექტის, „სამშვიდობო პოლიტიკის პოზიტიური ტრანსფორმაცია კვლევისა და ადვოკატირების გზით“, ფარგლებში. მიმოხილვაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ ავტორს და, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის შეხედულებებს.

ავტორი: თეონა ფირანიშვილი
ხელმძღვანელი: თამთა მიქელაძე
რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი
თარგმანი ინგლისურად: ნინო კარანაძე
თარგმანი რუსულად: როლანდ რაიკი
დიზაინი: სალომე ლაცაბიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი
მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 032 2 23 37 06

<https://socialjustice.org.ge/>
info@socialjustice.org.ge
<https://www.facebook.com/socialjustice.org.ge>

მშვიდობის მშენებლობა საჭიროებს მდგრად და თანმიმდევრულ პოლიტიკას, რომელიც დაეფუძნება არსებული გამოცდილების და ისტორიის კრიტიკულ შეფასებას და პოლიტიკურ კონსენსუსს სამშვიდობო პოლიტიკის ახალ მიდგომებთან და სტრატეგიებთან დაკავშირებით. საქართველოში მშვიდობის მშენებლობის იდეისა და პოლიტიკის მიმართ ინტერესი იკლებს და ეს საკითხები პოლიტიკურ დღის წესრიგში სულ უფრო ნაკლებად გვხვდება.¹ ცენტრალური ხელისუფლების სამშვიდობო პოლიტიკა ამ დრომდე 2010 წელს შემუშავებულ ჩართულობის სტრატეგიას ეყრდნობა, რომელიც აღარ შეიძლება პასუხობდეს რეგიონში არსებულ ცვლად პოლიტიკურ რეალობას. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ადამიანების უფლებათა და ჰუმანიტარული დისკურსი გაძლიერდა, რაც ასევე ეყრდნობა ჩართულობის გაძლიერების იდეებსაც (მათ შორის, პოზიტიურად უნდა შეფასდეს 2018 წელს, პროგრამის, „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, შემუშავებაც) მან არსებითად ვერ გააუმჯობესა სამშვიდობო პოლიტიკა და მდგომარეობა. წლებთან ერთად მიმდებარე კონფლიქტის რეგიონებში და მის მიმდებარედ მცხოვრები ადამიანების სოციალური და უფლებრივი მდგომარეობა და ჰუმანიტარული კრიზისები.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ 2021 წელს საქართველოს მთავრობამ ჩართულობისა და დეოკუპაციის პოლიტიკის გადახედვის პროცესი დაიწყო. თუმცა ახალი/განახლებული სტრატეგიის დოკუმენტებზე მუშაობა ჯერ არ დასრულებულა და მათი შედეგების შეფასება შეუძლებელია. უფრო მეტიც, სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის ამ დრომდე არ მოუწოდებიათ წინა წლების ჩართულობის სტრატეგიის შესრულების შეფასების დოკუმენტი და ამ დოკუმენტში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ მთავრობის ხედვის პროექტი.

წარმოდგენილი დოკუმენტის მიზანია, სახელმწიფოს ახალი სტრატეგიის შემუშავების პროცესში შესთავაზოს რამდენიმე ალტერნატიული ხედვა და იდეა, რომელიც, ჩვენი აზრით, ჩართულობის განახლებული სტრატეგიის ნაწილი უნდა გახდეს.

არსებული მდგომარეობის შეფასების და ხედვების შემუშავების პროცესში სოციალური სამართლიანობის ცენტრი დაეყრდნო როგორც უკვე არსებულ პოლიტიკის დოკუმენტებს და კვლევებს, ასევე ორგანიზაციის ბოლო პერიოდის დაკვირვებებს და შეფასებებს კონფლიქტის რეგიონებში და მის მიმდებარედ შექმნილ უფლებრივ და სოციალურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. დოკუმენტთან დაკავშირებით, კონსულტაცია გავიარეთ ჩვენს მიერ წინასწარ შერჩეულ ექსპერტებთან,² რომლებმაც დოკუმენტი

¹ შერიგებისა და ნდობის აღდგენის მოჩვენებითი ქართული პოლიტიკა. იხ. ინტერვიუები ექსპერტებთან: <https://socialjustice.org.ge/ka/products/sherigebisa-dandobis-aghdgenis-mochvenebiti-kartuli-politika>; ასევე იხ. კონფლიქტის რეგიონები და ადამიანის უფლებები პარტიების წინასაარჩევნო ხედვებში - 2020, <https://socialjustice.org.ge/ka/products/konfliktis-regionebi-da-adamianis-uflebebi-partiebistinasaaarchevno-khedvebshi-2020>.

² პაატა ზაქარეიშვილი - კონფლიქტოლოგი, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ყოფილი სახელმწიფო მინისტრი; ნათია ჭანკვეტაძე - მშვიდობისა და კონფლიქტების მკვლევარი; მალხაზ სალდაძე - პოლიტოლოგი; მიხეილ მირზიაშვილი - განვითარების და დემოკრატიის ცენტრის თავმჯდომარე.

განიხილეს და მოიწონეს, ვიდრემას სახელმწიფო უწყებებს გავუზიარებთ. სოციალური სამართლიანობის ცენტრი მადლობას უხდის მათ გამოცდილების და ცოდნის გაზიარებისთვის.

არსებული მდგომარეობის და პოლიტიკის შეფასება

საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკამ რადიკალური ცვლილებები განიცადა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ფაქტორების და 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. აგვისტოს ომამდე, სამშვიდობო პოლიტიკის დინამიკა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების აღდგენის მცირე იმედს აჩენდა, თუმცა ქართული პოლიტიკა ყოველ ჯერზე იმდენად არათანმიმდევრული იყო, რომ ხშირად ეს იმედის მომცემი შესაძლებლობები კონფლიქტის მოგვარების გაშვებულ შესაძლებლობად იქცეოდა.³

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ კი, სამშვიდობო პოლიტიკამ მთლიანად საერთაშორისო მიმართულება შეიძინა და დაკარგა ქვეყნის შიგნით მიმდინარე ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების განზომილება. რუსეთის ფედერაციის და კიდევ რამდენიმე ქვეყნის მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკა მკვეთრად დაეფუძნა არაღიარების ხედვებს, რაც, ერთი მხრივ, თითქოს უგულვებელყოფდა ქვეყნის შიგნით არსებული კონფლიქტების ისტორიულ გამოცდილებას და, მეორე მხრივ, არ აღიარებდა ამ გამოცდილების საფუძველზე კონფლიქტის რეგიონებთან, უშუალოდ მათ დე-ფაქტო მმართველობასთან, პირდაპირი დიალოგის, ნდობის მშენებლობის და ჩართულობის პოლიტიკურ მნიშვნელობას. ჩართულობის და ნდობის აღდგენის პროცესში ქართული მხარე, როგორც წესი, მოიაზრებს „აფხაზურ და ოსულ საზოგადოებასთან“ დიალოგს და ის თითქოს დაყოფილია ლეგიტიმურ და არალეგიტიმურ ნაწილებად, რაც გულისხმობს სრულ არაღიარებას და იგნორს დე-ფაქტო მმართველობისა, რომელთანაც დიალოგის რესურსს ქართულ მხარე ვერ ხედავს.

ამას თან ერთვოდა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის მიღებაც, რომელიც, არაღიარების პოლიტიკის შესაბამისად, მიზნად ისახავდა კონფლიქტის რეგიონების იზოლაციას დანარჩენი სამყაროსგან. საქართველოს ხელისუფლების უნებართვოდ მათთან ნებისმიერი თანამშრომლობა (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის ემსახურება სახელმწიფო ინტერესებს, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების, დეოკუპაციის, ომით დაზარალებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენის ან ჰუმანიტარულ მიზნებს და მასზე გაცემულია სპეციალური ნებართვა) პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისგების საკითხად იქცა. კანონი მიზნად ისახავს ოკუპირებული რეგიონების საქართველოსთან ლეგალურ დამაგრებას და ითვალისწინებს უფლებების არაერთ შეზღუდვას.⁴ მისი საბოლოო მიზანია, საქართველო იქცეს ერთადერთ გზად ოკუპირებულ

³ ი. აბრამიშვილი, რ. ქოიავა, საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკის 25 წელი, 2018; პ. ზაქარეიშვილი, ხედვა - კონფლიქტები საქართველოში, 2021, გვ. 166-170.

⁴ თ. ფირანიშვილი, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის შეფასება უფლებრივი და ჰუმანიტარული პერსპექტივით, EMC, 2020. გვ. 3.

ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისთვის საერთაშორისო კონტაქტების და თანამშრომლობის დასამყარებლად, მათ შორის, გადაადგილების და ეკონომიკური საქმიანობის მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ კანონმა რამდენიმეეტაპიანი ჩასწორებები გაიარა, მათ შორის, ვენეციის კომისიის მხრიდან, მისი „სადამსჯელო“ ხასიათის კრიტიკის გამო, რამაც შეამსუბუქა შეზღუდვები და გააფართოვა გამონაკლისთა სია,⁵ ის მაინც მთელ რიგ ქმედებებზე ავრცელებს პასუხისმგებლობას საქართველოს ხელისუფლების გარეშე დე-ფაქტო რეგიონებთან კომუნიკაციის და ჩართულობის გამო. მათ შორის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა წესდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის გამო იმ მიმართულებებიდან, რომლებიც კანონით არ არის განსაზღვრული. ასევე, უკანონოდ ცხადდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მთელი რიგი ეკონომიკური საქმიანობები და ბათილად ცხადდება ნებისმიერი გარიგება, რომელიც უძრავი ქონების საკუთრებას უკავშირდება. ვენეციის კომისიამ 2010 და 2011 წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები დადებითად შეაფასა, მათ შორის, ის ფაქტი, რომ აკრძალული მიმართულებებიდან ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლისთვის გამოირიცხა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, თუკი მას გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარების მიზანი ჰქონდა, ასევე, პირებისთვის, ვინც ფლობს ნეიტრალურ დოკუმენტს ან არის ტრეფიკინგის მსხვერპლი. გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარების საფუძვლით გამოირიცხა პასუხისმგებლობა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის გარდა, ეკონომიკური თანამშრომლობისთვის ბარიერებს ქმნის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა არაერთი წესი,⁶ რომელიც, როგორც პრაქტიკამ გამოავლინა, იმ შემთხვევაშიც ზღუდავს ეკონომიკურ თანამშრომლობას კონფლიქტის მხარეებს შორის, თუკი ის მიზნად ისახავს ნდობის აღდგენას, ან სხვა კანონით გათვალისწინებულ საგამონაკლისო მიზანს. ამგვარ შეზღუდვებში, მაგალითად, მოიაზრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვადასხვა ტექნიკური მოთხოვნა ისეთ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც საჭიროებს ლიცენზირებას, ან სახელმწიფოს მხრიდან სხვაგვარ ნებართვას.

აღსანიშნავია, რომ კონფლიქტების მხოლოდ საერთაშორისო პერსპექტივაში დანახვის პოლიტიკის მიუხედავად, საქართველოს არ აქვს შემუშავებული დეოკუპაციისა და დეანექსიის პოლიტიკის სტრატეგია. შეთანხმებული, კონსენსუსუნარიანი ხედვისა და პოლიტიკის არარსებობა ამ მიმართულებით, ხშირად პოლიტიკური სპეკულაციისა და პოლარიზაციის მიზეზი ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ კონფლიქტის რეგიონების მიმართ არღიარების პოლიტიკა და შესაბამისი სამართლებრივი რეჟიმი აამოქმედა, 2010 წელს მთავრობამ ასევე შეიმუშავა სახელმწიფო სტრატეგია „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ და შესაბამისი

⁵ Bogdan AURESCU, COMMENTS ON THE LAW ON OCCUPIED TERRITORIES OF GEORGIA, Opinino no. 516/2009, Strasbourg, 4 March 2009, para 3.

⁶ მ. მირზიაშვილი, ასოცირებისა და უვიზო რეჟიმის სიკეთეების აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლებზე გავრცელების ხელშეწყობა, სტრატეგიული კვლევების რეგიონული ცენტრი, 2016, გვ. 6.

სამოქმედო გეგმა. ეს იყო მნიშვნელოვანი სიახლე ქართულ სამშვიდობო პოლიტიკაში, რომლითაც 2008 წლის მძიმე გამოცდილების შემდეგ, ხელისუფლებამ გამორიცხა სამხედრო მეთოდებით კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობა და ჩართულობის სტრატეგია ადამიანზე ორიენტირებულ განზომილებას დააფუძნა. ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ჩართულობის პოლიტიკა შემდეგ მიმართულებებს მოიცავს:⁷ 1) ჰუმანიტარული დახმარება და სტიქიური უბედურებების დროს თანამშრომლობა; 2) ფიზიკურად დაყოფილ ადამიანებს შორის კონტაქტების აღდგენა, კონფლიქტის რეგიონში ადამიანის უფლებების დაცვა; 3) აფხაზი და ოსი მოსახლეობისთვის ჯანდაცვის და განათლების სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; 4) ეკონომიკური და სავაჭრო პროექტების განვითარება-ერთობლივი წარმოების სტიმულების გაჩენა, ასევე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურული პროექტები. ამ ოთხი მიმართულების განსახორციელებლად ჩართულობის სამოქმედო გეგმით განისაზღვრა შვიდი ინსტრუმენტი, მათ შორის - ნეიტრალური სტატუსის მქონე საკოორდინაციო მექანიზმი, რომელსაც აფხაზურ, ოსურ და ქართულ მხარეს შორის კომუნიკაცია-კოორდინაციისთვის უნდა შეეწყოს ხელი და ორმხრივად სასარგებლო პროექტები შეემუშავებინა, ნეიტრალური პირადობის მოწმობები და სამგზავრო დოკუმენტები სოციალური მომსახურების მიღების და გადაადგილების თავისუფლების გასამარტივებლად, ნდობის ფონდი - ფონდის საშუალებით გაიცემოდა გრანტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ასევე, გამყოფ ხაზებს შორის პროექტების განმახორციელებელი ორგანიზაციებისათვის, ერთობლივი საინვესტიციო ფონდი, რომლის მეშვეობითაც საერთო საინვესტიციო პროექტები უნდა დაფინანსებულიყო და წახალისებინა ბიზნეს საქმიანობა. სტრატეგიის ფარგლებში ასევე იგეგმებოდა თანამშრომლობის სააგენტოს, ფინანსური ინსტიტუტის და ინტეგრირებული სოციალურ-ეკონომიკური ზონის შექმნა.

ჩართულობის სტრატეგია მიუთითებს, რომ ის განახლებადი დოკუმენტია და ითვალისწინებს გადახედვას ყოველ 6 თვეში ერთხელ სამუშაო დონეზე და ყოველ 3 წელში ერთხელ სტრატეგიულ დონეზე. თუმცა მისი მიღებიდან 11 წლის თავზე, უშუალოდ დოკუმენტში ცვლილება არ შესულა და ამდენად, აშკარაა, რომ ის ვერ პასუხობს კონფლიქტის რეგიონებსა და მის მიმდებარე სოფლებში შექმნილ მძიმე უფლებრივ, ჰუმანიტარულ და სოციალურ გამოწვევებს.

აღსანიშნავია, რომ 2012 წლის შემდეგ, ჩართულობის პოლიტიკაში ძირეული ცვლილებები ასევე არ გატარებულა. ახალმა პოლიტიკურმა გუნდმა, ერთი მხრივ, რუსეთის გაუღიზიანებლობის პოლიტიკას მიმართა, მეორე მხრივ კი, პოლიტიკურ ენაში შერიგებისა და ნდობის აღდგენის მნიშვნელობა გაიზარდა, რაც განსაკუთრებით უკავშირდება კონფლიქტოლოგიისა და პოლიტოლოგიის, ბატონ პაატა ზაქარეიშვილის სახელმწიფო მინისტრის პოზიციაზე დანიშვნას. ის ცვლილებები და მიდგომები, რაც მისი სახელმწიფო მინისტრის პოზიციაზე მუშაობის დროს განხორციელდა, დღეს აღარ არის შენარჩუნებული

⁷ საქართველოს მთავრობის განკარგულება №88 5, 2010 წლის 3 ივლისი, თბილისი, ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

და ჩართულობის პოლიტიკა განვითარების ახალ საფეხურზე არ ასულა, რაც მიანიშნებს სამშვიდობო პოლიტიკის არამდგრადობაზე და მის დამოკიდებულებაზე პერსონებზე და არა ინსტიტუტებზე. კონფლიქტის ტრანსფორმაციის არცერთი შესაძლო ინდიკატორით არსებითი წინსვლა დღეს არ შეინიშნება: 1. არ შექმნილა პოლიტიკური დიალოგისა და კომუნიკაციის მდგრადი ფორმატები *de facto* მმართველებთან; 2. არ შექმნილა დამოუკიდებელი აქტორების (მაგალითად, სახალხო დამცველის) რეგულარული თანამშრომლობის ფორმატები და პროცესები; 3. არ გაზრდილა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობა და მუშაობა კონფლიქტის რეგიონებში (გარკვეული პერიოდულობით საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა შეიძლება იზრდებოდეს, მაგრამ ამას არ აქვს მდგრადი და სისტემური ხასიათი); 4. არ გაუმჯობესებულა მიმოსვლის რეჟიმი კონფლიქტის რეგიონებთან; 5. არ გაზრდილა ადამიანური უსაფრთხოება კონფლიქტით დაზარალებული ადამიანებისთვის და ოჯახებისთვის; 6. არ გადაიჭრა და გაღრმავდა ჰუმანიტარული კრიზისები კონფლიქტის რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური ქართველების მიმართ.

მთლიანობაში, უფლებების დარღვევის მძიმე და სისტემური გამოცდილებები, რთული სოციალურ-ეკონომიკური ვითარება როგორც კონფლიქტის რეგიონებში, ისე გამყოფ ხაზებთან, განგრძობადი „ბორდერიზაცია“ და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევები,⁸ ცალსახად მიუთითებს, რომ ხელისუფლებამ დროულად უნდა გადახედოს და კრიტიკულად გადაიზროს სამშვიდობო პოლიტიკა და შეიმუშაოს კონფლიქტების ტრანსფორმაციის ახალი ხედვა. ამასთანავე, კონფლიქტების 30 წელზე მეტი ხნის გამოცდილების პირობებში, მნიშვნელოვანია ხელისუფლებამ გაითვალისწინოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შეცვლილი პოლიტიკური და სოციალური კონტექსტები და თავისი სამშვიდობო სტრატეგია სწორედ ამ ახალ მოცემულობებს შეუსაბამოს.

აღსანიშნავია, რომ ამ რეალობაში არ არსებობს მდგრადი სამშვიდობო ფორმატი და მექანიზმი, რომელიც კონფლიქტის მხარეებთან არაერთ უფლებრივ და პოლიტიკურ საკითხზე პირდაპირი დიალოგის საშუალებას შექმნიდა. ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი და IPRM-ის მექანიზმი სამშვიდობო დიალოგის ფუნქციას ვერ ასრულებს, მიუხედავად მათი მნიშვნელობისა. ეს მექანიზმები გარდა იმისა, რომ ინკლუზიურია, სტატუს ნეიტრალურაცაა, თუმცა ხშირად მათი ფუნქციონირება მაღალი პოლიტიკების გამო ჩერდება.⁹ გარდა ამისა, ეს მექანიზმები ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა და სამშვიდობო მოლაპარაკების ფორმატი არ აქვს, სადაც უშუალოდ კონფლიქტის მხარეებს შორის საერთო მშვიდობის გზებსა და შესაძლებლობებზე იქნებოდა მსჯელობა.

⁸ მავთულხლართებს მიღმა: „ბორდერიზაციით“ გამოწვეული ადამიანის უფლებათა დარღვევები საქართველოში, Amnesty International, 2019; პანდემიის ერთი წელი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, 2021. ადამიანის უფლებათა მდგომარეობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონებში და გამყოფ ხაზებზე, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020.

⁹ Nona Mikhelidze, The Geneva Talks over Georgia's Territorial Conflicts: Achievements and Challenges, DOCUMENTI IAI 10 | 25 – November 2010, ob: <https://www.files.ethz.ch/isn/124968/iai1025.pdf>

იმ პირობებში, როდესაც საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებზე ადგილობრივი პოლიტიკური აქტორების პოზიციები და განწყობები მკვეთრად კონფლიქტური და პოლარიზებულია, ის პოლიტიკური და დიპლომატიური რესურსი, რომელიც მიმდინარე წლებში შიდა კონფლიქტების დაძლევისკენ მიიმართა (თუნდაც, ევროკავშირის პრეზიდენტის, შარლ მიშელის მონაწილეობით), გაცილებით ეფექტიანად და სახელმწიფოებრივად კონფლიქტების ტრანსფორმაციის სასარგებლოდ შეიძლება გამოყენებულიყო. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ჩართულობის სტრატეგიის განახლების პროცესში პოლიტიკურ დიალოგსა და კონსენსუსზე მიმართული მიდგომების იმთავითვე გათვალისწინება. ახალ სტრატეგიაზე შეთანხმების პროცესს თავისთავადი მნიშვნელობა აქვს ამ პოლიტიკურ ველში და მნიშვნელოვანია მას სათანადო ყურადღება დაეთმოს.

პროცესის ინკლუზიურობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა დაეთმოს მედიასთან მუშაობას, რომელიც არსებული პოლარიზებული პოლიტიკური გარემოს ნაწილია და ხშირად ახდენს მის კვლავწარმოებას.

ახალი ხედვების მიმოხილვა, რომელიც მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიის ცვლილებისას იყოს გათვალისწინებული

წინამდებარე ქვეთავში წარმოდგენილია ის ხედვები და იდეები, რომლებიც, ჩვენი აზრით, სტრატეგიის ახალ დოკუმენტში უნდა იყოს ასახული. ხედვები მოკლედ, სრულყოფილი დასაბუთების გარეშეა წარმოდგენილი და მისი მიზანი ახალი საკითხების და გამოწვევების პირველადი გამოკვეთა უფროა. ცხადია, ვაცნობიერებთ, რომ ჩართულობის მიმართულებით პოლიტიკის დახურულობის პირობებში, ჩვენი წვდომა ინფორმაციასა და მონაცემებზე შეზღუდულია, და შესაძლოა, ეს ჩვენს ხედვებს და არგუმენტებს ზოგიერთ შემთხვევაში არასრულყოფილსაც ხდიდეს. სტრატეგიის განახლებული დოკუმენტის პროექტის გაცნობის შემდეგ, სოციალური სამართლიანობის ცენტრი უფრო ნიუნსირებულ კომენტარებსა და ხედვებს წარმოადგენს.

საქართველოს კონფლიქტები ღირებულებების, იდენტობების, საზღვრების, ტრავმებისა და პოლიტიკის კრიტიკულ საკითხებს აერთიანებს და მათი გადაწყვეტა სახელმწიფოებრივი მოწყობის ან ტერიტორიული დანაწილების მარტივი ფორმულებით და ლოგიკით შეუძლებელია. ამას მოწმობს შეთავაზებების და მოლაპარაკებების მრავალწლიანი ისტორია და გამოცდილება. კონფლიქტის მხარეების პოზიციები წლების განმავლობაში ორ რადიკალურად განსხვავებულ „ეროვნულ პროექტს“ ეფუძნებოდა. საქართველოსთვის ეს ეროვნული პროექტი იყო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და მისი სუვერენიტეტის დაცვა, ხოლო კონფლიქტის რეგიონებისთვის - დამოუკიდებლობის მოპოვება.¹⁰ ამ რადიკალურად ანტაგონისტური პოზიციების განეიტრალება და

¹⁰ Archil Gegeshidze, Ivliane Khaindrava, Transformation of the Georgian-Abkhazian Conflict: rethinking the paradigm, 2011, გვ. 5.

დაახლოება კონფლიქტის გამოცდილების ვერცერთ ეტაპზე ვერ მოხერხდა და პირიქით, უფრო დაშორდა ერთმანეთს.

1. საერთაშორისო კონფლიქტთან ერთად, ადგილობრივი კონფლიქტების პარადიგმის გაძლიერების და მისი ოპერაციონალიზების აუცილებლობა

აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა რუსეთის ფედერაციის კრიტიკული დახმარებით და ხელშეწყობით შეძლეს შეენარჩუნებინათ 90-იანი წლების შემდეგ მიღწეული შედეგი და აგვისტოს ომის შემდეგ უფრო მყარად გაეფორმებინათ ე.წ. დამოუკიდებლობა. მიუხედავად იმისა, რომ „დამოუკიდებლობის“ შენარჩუნება და „სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი“ ვერ განხორციელდებოდა, რომ არა რუსეთის აქტიური ჩარევა და მხარდაჭერა, როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური, პოლიტიკური და დიპლომატიური თვალსაზრისით, იმის მტკიცება, რომ ეს რეგიონები, როგორც აქტორები, ამ კონფლიქტში არ არსებობენ და მხოლოდ მარიონეტები არიან გარე ძალის ხელში, არასწორია და უარყოფს იმ ღრმა ისტორიულ სინამდვილეს, რომელიც ამ კონფლიქტებს თან სდევს.¹¹ ხელისუფლების პოლიტიკამ კონფლიქტის რეგიონებთან მიმართებით, რომელიც ბოლო წლებში მეტწილად არაღიარების და იზოლაციის პოლიტიკას ეფუძნებოდა, კონფლიქტები მთლიანად საერთაშორისო განზომილებაში გადაიტანა და მის ერთადერთ მხარედ რუსეთის ფედერაცია აღიარა. ადგილობრივი კონფლიქტების კონტექსტის იგნორირებამ არათუ წინ ვერ წაწია კონფლიქტების მოგვარების პროცესი, არამედ პირიქით, უფრო დაგვაშორა მისი მოგვარების პერსპექტივისგან. იზოლაციის პოლიტიკამ de facto ელიტებთან კომუნიკაცია შეამცირა და ამ დონეზე საკითხების გადაჭრის შესაძლებლობები გააქრო. სრული იზოლაციის რეალობაში, ჩართულობის ნებისმიერი ასპექტის განხორციელება წინასწარ განწირული იქნება წარუმატებლობისთვის, თუკი ეს იქნება ცალმხრივი შეთავაზებების კასკადი და არ დაეფუძნება მეორე მხარის ინტერესებს და არ ექნება შესაბამისი მიმდებლობა. 2012 წლიდან სამშვიდობო პოლიტიკაში ადგილობრივი კონფლიქტების მნიშვნელობის აღიარება ისევ დაბრუნდა პოლიტიკის ენაში, თუმცა ის მეტწილად თემთა შორის შერიგებისა და ნდობის აღდგენის ინტერესზე დგას და სრულად გამორიცხავს პოლიტიკურ მუშაობასა და დიალოგს de facto პოლიტიკურ ელიტებთან. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, de facto პოლიტიკურმა ელიტებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა დაინახონ, რომ საქართველოს ხელისუფლება მათ აღიქვამს არა მხოლოდ დახმარების მიმღებ პასიურ ობიექტებად, არამედ აქტორებად, რომელთა ინტერესებსაც ითვალისწინებს, აღიარებს როგორც კონფლიქტის მონაწილე სუბიექტებს და მზად არის მათთან თანამშრომლობისთვის საერთო წუხილების და ინტერესების სასარგებლოდ.

აქედან გამომდინარე, საერთაშორისო კონფლიქტის პარადიგმის პარალელურად, კონფლიქტისთვის ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური პარადიგმების დაბრუნება და de facto ელიტებთან ჩართულობის გაძლიერებასა და დიალოგზე მიმართული

¹¹ Natella Akaba and Iraklii Khintba, Transformation of the Georgian-Abkhaz conflict: rethinking the paradigm, 2011, გვ 40-41.

ურთიერთობების მშენებლობა, არსებითია. ცხადია, ამ პროცესში დაცული უნდა იყოს სტატუს ნეიტრალური მიდგომები.

იმ პირობებში, როდესაც ქვეყანას არ აქვს ანექსიის და ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული სტრატეგია და ამ კუთხით გადადგმული ნაბიჯები მეტწილად მხოლოდ არაღიარებისკენ მიმართულ სამუშაოებზე დგას, მნიშვნელოვანია, ასევე გაძლიერდეს რუსეთთან საერთაშორისო კონფლიქტის გადაჭრისა და უსაფრთხოებაზე მიმართული პოლიტიკა. ჩვენი მოსაზრებით, ანექსიის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკასა და ჩართულობის პოლიტიკას შორის კონფლიქტური მიმართებები არ არსებობს და პირიქით, მათ ერთმანეთის გაძლიერება შეუძლია (ცხადია, რომ პოლიტიკის ეს ორი სფერო დამოუკიდებელ მოდუსში, ღირებულებებსა და პროცესში ორგანიზებას ითხოვს). ჩართულობის პოლიტიკის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს, რომელიც, მათ შორის, de facto რეჟიმებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ალტერნატივებს სთავაზობს და კონფლიქტის მხარეებს შორის განწყობების, ინტერესების ტრანსფორმაციაზე მიმართული, მნიშვნელოვანი პოლიტიკური პოტენციალი შეიძლება ჰქონდეს ანექსიური გავლენების შესამცირებლად. ამავე დროს, რუსეთისგან მომდინარე რისკების შემცირებას, ძირეული გავლენა ექნება ჩართულობის პოლიტიკის ქვეშ დაგეგმილ ინიციატივებზე, რომლებიც, ხშირად, სწორედ რუსეთის ფაქტორის გამო იბლოკება და ფერხდება.

2. არაღიარების პოლიტიკის და მასთან დაკავშირებული კანონმდებლობის გადასინჯვის/მოდიფიკაციის აუცილებლობა

გარდა ამისა, 2008 წლის შემდეგ არაღიარების პოლიტიკამ თავისი შედეგი უკვე გამოიღო, რაც გულისხმობს, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას არ ცნობს სახელმწიფოთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა. ამკარაა, რომ საერთაშორისო პარტნიორების პოზიციები ამ საკითხზე, წლების განმავლობაში არ შეცვლილა და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ სამართლებრივი პლატფორმა მხარს უჭერს.¹² საქართველო-რუსეთის წინააღმდეგ სახელმწიფოთაშორის განაცხადზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, რუსეთის პასუხისმგებლობის აღიარება ოკუპირებულ რეგიონებში უკვე სამართლებრივადაც მოხდა. ამასთანავე, უკრაინაში ბოლო პერიოდში მიმდინარე უმძიმესი სამხედრო და პოლიტიკური მოვლენების გათვალისწინებით, აღიარების რისკები კიდევ უფრო შემცირებულია. აქედან გამომდინარე, კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიზნებისთვის, აუცილებელია, სახელმწიფოს პოლიტიკა გასცდეს არაღიარების მიზნებს, რომელიც ომის შემდგომ პირველ წლებში ლეგიტიმური აუცილებლობა იყო, მაგრამ დღეს ნაკლები პოლიტიკური და სამართლებრივი მნიშვნელობა ენიჭება. შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა გაააქტიუროს იმგვარი ძალისხმევა, რომელიც კონფლიქტის რეგიონებში უფლებრივი და სოციალური

¹² იხ. გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციები: https://www.securitycouncilreport.org/un_documents_type/security-council-resolutions/?ctype=Georgia&cbtype=georgia; ასევე ევროპის საბჭოს კონსოლიდირებული ანგარიშები: <https://rm.coe.int/consolidated-report-on-the-conflict-in-georgia-april-september-2021/1680a457d9>;

პრობლემების გადასაჭრელად საერთაშორისო მონაწილეობას გაზრდის, და ასევე შეუწყობს ხელს ამ რეგიონების ევროპეიზაციას, როგორც რუსეთის ანექსიის ალტერნატიულ პერსპექტივას.¹³

ჩართულობის სტრატეგიამ ასევე კრიტიკულად უნდა გადაიაზროს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონი და აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგის ფორმატში განიხილოს ცალკეული შეზღუდვების მოხსნის ან ახალი შესაძლებლობების გაჩენის საკითხები საერთო სიკეთეების მისაღწევად. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, ვენეციის კომისიის სხვადასხვა დროს გაცემული რეკომენდაციების გაზიარება და ასახვა, რაც მიზნად ისახავს კანონის სადამსჯელო ძალის შემსუბუქებას, ჩართულობის გაზრდას დე-ფაქტო რეგიონებთან და ნდობის მშენებლობას. ამგვარ საკითხებში შეიძლება მოვიაზროთ გადაადგილების წესის დარღვევის დროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მოხსნის და მისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში გადატანის საკითხი. ეს ცვლილება ინიცირებული იყო 2013 წელს, რაც ვენეციის კომისიამ დადებითად შეაფასა, რადგან მიმართული იყო პასუხისმგებლობის ლიბერალიზაციისკენ. მეტიც, მან მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, საერთოდ გაეტანა გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები სისხლის სამართლით რეგულირებული სფეროდან. კომისიის აზრით, დეკრიმინალიზაცია ხელს შეუწყობდა მოქნილობას და ჩართულობის პოლიტიკის გაზრდას ოკუპირებულ ტერიტორიებზე.¹⁴ ასევე, კომისიამ გასცა რეკომენდაცია, რომ გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვისას ფორსმაჟორი ერთ-ერთ გამოწვევად განსაზღვრულიყო.

კომისიის რეკომენდაციის მიუხედავად, კანონში არ გაფართოვდა ჰუმანიტარული დახმარების ცნება. კერძოდ, კანონი გადაადგილებასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს აუქმებს გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარების აუცილებლობის შემთხვევაში. ეს ჩანაწერი მნიშვნელოვნად ზღუდავს ჰუმანიტარული დახმარების ფარგლებს და მის გაფართოებაზე მსჯელობა, სტრატეგიის გადახედვის პროცესში, ერთ-ერთი საკითხი შეიძლება გახდეს.

გარდა ამისა, საკუთრების უფლებასთან შეუთავსებლად აფასებს კომისია უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ აქტების ბათილობას კომპენსაციის გარეშე და ამ კანონის რეგულირების გავრცელებას უკუძალით, 1990 წლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე. მართალია, კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად, უკუძალა გაუქმდა იმ მუხლებზე, რომლებიც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებდა, მაგრამ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ამგვარი ჩანაწერი კვლავ საჭიროებს რევიზიას.

ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის გარდა, ცალკეული საკანონმდებლო აქტებიც საჭიროებს გადახედვას და ცვლილებებს, მათ შორის, ასოცირების დღის წესრიგში

¹³ Archil Gegeshidze, Ivliane Khaindrava, Transformation of the Georgian-Abkhazian Conflict: rethinking the paradigm, 2011, გვ. 38.

¹⁴ Opinion on the 2013 Draft Amendments to the Law on the Occupied Territories of Georgia, Adopted by the Venice Commission at its 97th Plenary Session (Venice, 6-7 December 2013), Opinion no. 744 / 2013, paras 9-15.

ასახული პრინციპების და მიდგომების გათვალისწინებით, ჩართულობის, ნდობის აღდგენის და თანამშრომლობის (მათ შორის, სავაჭრო, ეკონომიკური, საგანმანათლებლო, კულტურის და სხვა მიმართულებებით) გაძლიერების/გაფართოების მიზნით.¹⁵

3. კონფლიქტის ტრანსფორმაციის სტრატეგიის და მიდგომების დანერგვა

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს სამშვიდობო სტრატეგიამ ოფიციალურად აღიაროს და დანერგოს კონფლიქტის ტრანსფორმაციის კონცეფცია და მიდგომა. ეს, ერთი მხრივ, იქნება იმის აღიარება, რომ ხელისუფლება აცნობიერებს კონფლიქტების ღრმა, ისტორიულ ფესვებს და ხედავს მის არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ სოციალურ განზომილებასაც. მეორე მხრივ კი, ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება აღიარებს ამ კომპლექსური კონფლიქტების ეტაპობრივი, თანმიმდევრული და მრავალშრიანი ტრანსფორმაციის საჭიროებას და იღებს შესაბამის ზომებს საამისოდ. კონფლიქტის ტრანსფორმაცია სხვა არაფერია, თუ არა მშვიდობის მშენებლობის პროცესი, რომელიც კონფლიქტის მოგვარებას სისტემური და მდგრადი მეთოდებით ცდილობს.¹⁶

ტრანსფორმაციის პროცესი კრიტიკულად მნიშვნელოვანია საქართველოს მსგავსი მძიმე სოციალური გამოცდილების კონფლიქტების შემთხვევაში, როდესაც მხარეებს უწყვეტ თავიდან შექმნან ადამიანური ურთიერთობები, პოლიტიკური დღის წესრიგი, ინსტიტუციები, უსაფრთხო გარემო და მშვიდობიანი თანაარსებობა. ეს არის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს გარდაქმნას სისტემა, სტრუქტურები და ურთიერთობები, რამაც კონფლიქტი წარმოშვა, იმგვარად, რომ შესაძლებელი გახადოს სამართლიანი და მდგრადი მშვიდობის მშენებლობა.¹⁷ თავის მხრივ, ტრანსფორმირებული კონფლიქტი არის სიტუაცია, რომელიც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მშვიდობას და ადამიანის უფლებების პატივისცემას, არამედ ქმნის პირობებს განვითარებისთვის, ინფრასტრუქტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოკრატიული ინსტიტუციების მშენებლობისთვის.

4. ინკლუზიური და სახალხო (bottom-up) სამუშაო პროცესის მნიშვნელობა

კიდევ ერთი პარადიგმა, რაც მნიშვნელოვანია ნდობის მშენებლობისა და ჩართულობის გაძლიერების პროცესში, არის ინკლუზიური და მონაწილეობითი პროცესები, სადაც აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მმართველობის de facto წარმომადგენლებსა და საზოგადოებრივ აქტორებს ექნებათ შესაძლებლობა დიალოგზე დაფუძნებული ურთიერთობა ჰქონდეთ ქართულ მხარესთან, მათთან ერთად იმუშაონ მდგრადი მშვიდობის მშენებლობის ახალ პოლიტიკაზე. ვინაიდან სახელმწიფოს ჩართულობის სტრატეგიის მთავარი ამოცანაა გაყოფილი ხაზებით დაშორებულ მოსახლეობას შორის ურთიერთობების აღდგენა და იმავე უფლებების და პრივილეგიების შეთავაზება აფხაზი

¹⁵ მ. მირზიაშვილი, ასოცირებისა და უვიზო რეჟიმის სიკეთეების აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლებზე გავრცელების ხელშეწყობა, სტრატეგიული კვლევების რეგიონული ცენტრი, 2016, გვ. 8.

¹⁶ თ. ფირანიშვილი, ადამიანის უფლებები მშვიდობის მშენებლობისთვის, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021.

¹⁷ Michelle Parlevliet, Human Rights and Conflict Transformation: Towards a More Integrated Approach, p. 379.

და ოსი მოსახლეობისთვის, რომლითაც საქართველოს ყველა მოქალაქე სარგებლობს, მნიშვნელოვანია: 1) ხელისუფლებამ იცოდეს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის საჭიროებების და წუხილების შესახებ; 2) მათ ჰქონდეთ მზაობა მიიღონ შეთავაზებული პრივილეგიები და უფლებები; 3) დე-ფაქტო რეჟიმების მმართველობა და სხვა საზოგადოებრივი აქტორები უშუალოდ მონაწილეობდნენ ამ სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შედგენაში, რაც იქ მცხოვრებ მოსახლეობას გაუჩენს ერთგვარი კუთვნილების განცდას, რაც ნიშნავს იმას, რომ მიმდებლობა შეთავაზებების მიმართ უფრო მაღალი იქნება.

ასევე მნიშვნელოვანია სამშვიდობო ინიციატივები მომდინარეობდეს ქვემოდან მოსმენილი აზრებიდან და ასახავდეს რეალურ საჭიროებებს და წუხილებს. ამისათვის აუცილებელია წინასწარი კონსულტაციები და დიალოგი აფხაზურ და ოსურ საზოგადოებრივ ჯგუფებთან, რათა გამოიკვეთოს ადგილზე არსებული საჭიროებებიც და ისიც, თუ თანამშრომლობის რა ჩარჩოებზეა მზაობა. არსებული სამოქმედო გეგმის და სტრატეგიის მთავარი პრობლემა მისი ცალმხრივობაა, ეს არის მხოლოდ ქართული მხარის შეთავაზება და ინიციატივა. იმისათვის, რათა ეს დოკუმენტი განხორციელდეს, საჭიროა ერგებოდეს ორივე მხარის ინტერესებს და საჭიროებებს. აუცილებელია იმის გააზრება, რომ ეს არ არის კონფლიქტის პოლიტიკური გადაწყვეტის მექანიზმი, არამედ კონფლიქტის პირობებში ადამიანების ყოველდღიური პრობლემების შემსუბუქების გზა და ხალხებს შორის ნდობის და დიალოგის საშუალება.

სამშვიდობო პოლიტიკის ინკლუზიურ პროცესებზე მითითებისას, აუცილებელია, აქვე მოვიაზროთ დევნილი საზოგადოება და ომით დაზარალებული ჯგუფები, რომლებიც გამყოფ ხაზებთან მუდმივ შიშსა და საფრთხის ქვეშ განაგრძობენ ცხოვრებას. არსებული სამშვიდობო პოლიტიკა გამყოფ ხაზებთან მცხოვრებ ოჯახებს ვერ აღიქვამს სამშვიდობო პოლიტიკის ნაწილად და მათ მხოლოდ ცალკეული სერვისებით და ფრაგმენტული დახმარებებით აკმაყოფილებს. მაშინ როცა ამ ოჯახებს აქვთ გამყოფ ხაზებს მიღმა მცხოვრებ ადამიანებთან ურთიერთობის და თანაცხოვრების გამოცდილება. გარდა ამისა, სახელმწიფო პოლიტიკა არ მოიაზრებს გამყოფ ხაზებთან მცხოვრებ ოჯახებს იძულებით გადაადგილებულ პირებთან თანაბარ პირობებში, რაც გულისხმობს მათ ხელმისაწვდომობას სხვადასხვა მხარდამჭერ სერვისებზე.¹⁸ მნიშვნელოვანია სამშვიდობო პოლიტიკამ დაინახოს ეს ჯგუფები როგორც სამშვიდობო პოტენციალის მატარებლები, შექმნას მათთან დიალოგის პლატფორმა, და მათი საჭიროებები ჩართულობის სტრატეგიის უშუალო ნაწილად აქციოს.

ჩართულობის პოლიტიკასთან კავშირში, ამ კუთხით, კიდევ ერთი მნიშვნელოვანია საკითხია, სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივ ჯგუფებთან და კონფლიქტით

¹⁸ გამყოფი ხაზის გარშემო მდებარე სოფლების მოსახლეობა სახელმწიფოსგან საგანგებო მხარდაჭერას საჭიროებს: სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021. <https://socialjustice.org.ge/ka/products/gamqofi-khazis-garshemo-mdebare-soflebis-mosakhleoba-sakhelmtsifos-sagangebo-mkhardacheras-sachiroebs>

დაზარალებულ თემებთან რეგულარული კომუნიკაციის და ინფორმაციის და ცოდნის მიღების დემოკრატიული გზების დანერგვა.

5. ადამიანური უსაფრთხოების, როგორც კონფლიქტის ტრანსფორმაციის ძირეული ჩარჩოს შემოტანის აუცილებლობა

ადამიანური უსაფრთხოება კონფლიქტის ტრანსფორმაციის და დე-ფაქტო რეგიონებთან ჩართულობის ცენტრალური კონცეპტი უნდა გახდეს. ადამიანური უსაფრთხოების ცნება რამდენიმე ელემენტს მოიცავს: 1) ინდივიდუალური უსაფრთხოება, - ადამიანების დაცვა პირდაპირი ფიზიკური ზიანისგან - ბანდიტობა, გატაცება, თემთაშორისი დაპირისპირება; 2) ადამიანური უსაფრთხოების ინსტიტუციური წყაროები - აქ იგულისხმება სახელმწიფო ინსტიტუტების ის ქმედებები და უმოქმედობები, რაც ადამიანის უფლებებს და უსაფრთხოებას ზიანს აყენებს. ეს შეიძლება იყოს გაუმართავი სოციალური ინსტიტუტები, ჯანდაცვის სისტემა, პოლიტიზებული ან არაპროფესიონალი სამართალდამცავი სტრუქტურები, კორუმპირებული საჯარო სექტორი და სხვ.; 3) ადამიანური უსაფრთხოების სტრუქტურული და კულტურული წყაროები - ეს უკავშირდება ისეთ სოციალურ და კულტურულ პრობლემებს, როგორც არის უმუშევრობა, სიღარიბე, შიმშილი, უთანასწორობა და სხვ.¹⁹ სახელმწიფოს სტრატეგია კონფლიქტის რეგიონებთან მიმართებით, მშვიდობის მშენებლობის პროცესში, აუცილებელია ითვალისწინებდეს ადამიანური უსაფრთხოების ამ მრავალმხრივ გაგებას. ეს გულისხმობს იმას, რომ მშვიდობის მშენებლობა მოიცავს როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური გარემოს ტრანსფორმაციას, თანასწორი გარემოს მშენებლობას. მნიშვნელოვანია, რომ ადამიანური უსაფრთხოების გარანტიები მოიაზრებოდეს ომით დაზარალებული ყველა სოციალური ჯგუფის მიმართ, ესენი არიან იძულებით გადაადგილებული პირები, გამყოფი ხაზის გარშემო მცხოვრები ოჯახები, გალში, ახალგორსა თუ ოკუპირებული რეგიონების სხვა ნაწილში მცხოვრები ადამიანები. ბოლო წლებში განსაკუთრებულად მწვავედ დგას გამყოფი ხაზის სოფლებში უსაფრთხოებისა და პოლიციის მუშაობის ეფექტიანობის, ასევე, გალსა და ახალგორში შექმნილი ჰუმანიტარული კრიზისის საკითხები და მნიშვნელოვანია, ახალმა სტრატეგიამ ამ კრიზისების დაძლევის გზებიც გაითვალისწინოს.

მეორე მიმართულებაა ადამიანის უფლებები, რომელიც ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის კონტექსტებში რამდენიმე მთავარ მიმართულებას მოიცავს. ესენია მშობლიურ ენაზე განათლების უფლება, ქონებრივი უფლებები, გადაადგილების თავისუფლება, უფლება ხარისხიან ჯანდაცვაზე, უსაფრთხოების უფლება (გატაცებების და უკანონო დაკავებების თავიდან აცილება). ჩართულობის პოლიტიკის მთავარი მიმართულება უნდა იყოს ამ უფლებრივი საკითხების ირგვლივ პირდაპირი დიალოგი აფხაზ და ოს მხარესთან, ზოგიერთ შემთხვევაში, საერთაშორისო აქტორების მონაწილეობით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გაიაზროს ის პოზიტიური ვალდებულებები, რაც აკისრია უფლებების დაცვის კუთხით მის კონტროლს მიღმა

¹⁹ Earl Conteh-Morgan, PEACEBUILDING AND HUMAN SECURITY: A CONSTRUCT! VIST PERSPECTIVE, International Journal of Peace Studies, Volume 10, Number 1, Spring/Summer 2005, pg. 71.

არსებულ ტერიტორიებზე და დაგეგმოს ქმედითი ღონისძიებები ამ ვალდებულებების შესასრულებლად. ამგვარ კონტექსტში უფლებების დაცვის პოზიტიური ვალდებულებების არსებობა აღიარა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეზე დნესტრისპირეთის და ჩრდ. კვიპროსის კონფლიქტების კონტექსტში.²⁰ სასამართლომ დაადგინა, რომ კონტროლის არარსებობის პირობებშიც კი, სახელმწიფოს, რომელიც ინარჩუნებს იურისდიქციას დაკარგულ ტერიტორიებზე, აკისრია პოზიტიური ვალდებულება, მიმართოს ყველა დიპლომატიურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ ზომას ადამიანის უფლებების დასაცავად. იმავეზე მიუთითებს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი თავის ზოგად კომენტარში ვალდებულებების განგრძობადობასთან დაკავშირებით.²¹ გარდა ამისა, უახლეს სასამართლო პრაქტიკაში, ECHR-მა, დე-ფაქტო რეჟიმებთან თანამშრომლობის ვალდებულება დაასახელა პოზიტიური ვალდებულების ერთ-ერთ გამოხატულებად. სასამართლომ საქმეში, *ილაშკუ მოლდოვის და რუსეთის წინააღმდეგ*, განმარტა, რომ დნესტრისპირეთის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან მოლდოვის ხელისუფლების თანამშრომლობა საბაზო უფლებების უზრუნველსაყოფად და იქ მცხოვრები ადამიანების ყოველდღიურობის გასაუმჯობესებლად, შეესაბამებოდა მოლდოვის პოზიტიურ ვალდებულებებს. ამგვარი თანამშრომლობა სასამართლომ მოლდოვის მიერ დნესტრისპირეთის რეჟიმის აღიარებად არ მიიჩნია და მეტიც, თანამშრომლობის ვალდებულება უფლებების დაცვის მიზნით, სწორედ უფლებების დაცვის პოზიტიური ვალდებულებების ჭრილში განიხილა.²² სასამართლომ დე-ფაქტო რეჟიმებთან თანამშრომლობის ვალდებულება აღიარა კიდევ ერთ საქმეში თურქეთის წინააღმდეგ.²³

ადამიანის უფლებებზე მსჯელობის დროს, არსებითაა, საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინოს კონფლიქტის მხარეების უფლებრივი ინტერესები და საკუთარ განცხადებებში, ანგარიშებსა და პოლიტიკურ და დიპლომატიურ სამუშაოებში **ორმხრივად გაითვალისწინოს და ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ოსებისა და აფხაზების მდგომარეობა ასევე აქციოს რეაგირების საგნად.** ამ კუთხით, მნიშვნელოვანია, საქართველოს ხელისუფლებამ მხარი დაუჭიროს საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობის გაძლიერებას ოკუპირებულ რეგიონებში, ადამიანის უფლებების დაცვისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შესაქმნელად.

მესამე მიმართულება ადამიანური უსაფრთხოების ჭრილში გამართული ჯანდაცვის და სოციალური დაცვის მექანიზმების შეთავაზებაა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანებისთვის. ამისათვის საჭიროა ქმედითი და ეფექტიანი გახდეს ისეთი მექანიზმები, როგორც არის ნეიტრალური დოკუმენტები, რასაც შეიძლება მიეზღოს სხვადასხვა

²⁰ *Catan v Moldova and Russia* App nos 43370/04, 8252/05 and 18454/06 (ECHR, 19 October 2012), para 110; *Ilaşcu and Others v. Moldova and Russia*, App no 48787/99 (ECHR, 8 July 2004), paras 330-341. *Güzelyurtlu v Cyprus and Turkey* App no 36925/07 (ECHR, 4 April 2017); *Joannou v. Turkey*, App no. 53240/14, (ECHR, 12 December 2017).

²¹ UN Human Rights Committee (HRC), CCPR 'General Comment No. 26: Continuity of Obligations' CCPR/C/21/Rev.1/Add.8/Rev.1 (8 December 1997).

²² *Ilaşcu and Others v. Moldova and Russia*, App no 48787/99 (ECHR, 8 July 2004), paras 336-345.

²³ *Güzelyurtlu v. Cyprus and Turkey*, para 191.

სახელმწიფო სერვისები, მათ შორის, ჯანდაცვის და სოციალური დაცვის მიმართულებით. სტატუს-ნეიტრალური დოკუმენტები მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სხვადასხვა სერვისსა და პროგრამაზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად. თუმცა ამ ინსტრუმენტის მიმართ მიმდებლობა ძალიან დაბალია აფხაზებსა და ოსებში, რადგან მოსახლეობა, ამ დოკუმენტების აღების შემთხვევაში, წნეხს განიცდის როგორც საზოგადოებრივი, ასევე, პოლიტიკური ჯგუფების და ადგილობრივი მმართველობის მხრიდან. **ამიტომ, მნიშვნელოვანია აქტიური კამპანია მისი პოპულარიზებისა და მიმდებლობის გასაზრდელად.** ჩვენი დაკვირვებით, არსებითია, ამგვარი დოკუმენტის მქონე პირისთვის გათვალისწინებული სერვისები და შეღავათები გაფართოვდეს და მაქსიმალურად დაუახლოვდეს საქართველოს მოქალაქის მდგომარეობას.²⁴ მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია პოლიტიკური მოლაპარაკებები დე-ფაქტო რეჟიმების ლიდერებთან, რათა ამ დოკუმენტების მიღების შემთხვევაში, მოსახლეობაზე წნეხი მოიხსნას.

6. კონფლიქტების ტრანსფორმაციის პროცესის მართვის მაღალ პოლიტიკურ დონეზე ატანისა და უკეთესი კოორდინაციის მნიშვნელობა

აქვე, არსებითია, რომ სამშვიდობო პოლიტიკა მმართველობის მაღალ დონეზე იყოს ატანილი, მაგალითად, პრემიერ-მინისტრის ან პრეზიდენტის კოორდინირებით. ეს იმთავითვე მიანიშნებს საკითხის მნიშვნელობაზე და გააძლიერებს ამ მხრივ გადადგმული ნაბიჯების ქმედითუნარიანობას. ასევე აუცილებელია, რომ ზოგადად სამშვიდობო პოლიტიკა სხვადასხვა უწყების მჭიდრო კოორდინაციით მიმდინარეობდეს.

ჩართულობის სტარტეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელება მთლიანად უნდა ეფუძნებოდეს მრავალდონიანი მმართველობის კონცეფციას (**Multi-level governance**), რაც გულისხმობს განხორციელების პროცესში სხვადასხვა აქტორების ჩართულობას ქვედა, საშუალო და მაღალ დონეზე. ინიციატივების განმახორციელებლები არ უნდა იყვნენ მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები, ცალკეული საკითხები უნდა გადანაწილდეს კერძო და არასამთავრობო ინსტიტუტებზეც, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია სახალხო დამცველის ინსტიტუტის გააქტიურება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით კონფლიქტის მხარეებს შორის თანამშრომლობა. ადამიანის უფლებათა ინსტიტუტების ჩართვა უფლებების დაცვის პროცესში, საკითხების პოლიტიზების რისკებსაც ამცირებს, რადგან ეს ინსტიტუტები მხოლოდ უფლებრივ საკითხებზე ფოკუსირდებიან და მიუკერძოებლად, უფლებების ინტერესების გამოყენებით ასრულებენ თავიანთ მანდატს.²⁵ სახალხო დამცველის ინსტიტუტს, რომელიც ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად მუშაობს და ფლობს ადამიანის უფლებების დაცვის

²⁴ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს, რომლებსაც პირადობის ნეიტრალური მოწმობები აქვთ, სოციალური დაცვის უკეთესი გარანტიები უნდა მიეცეთ, <https://socialjustice.org.ge/ka/products/okupirebul-teritoriebze-mtskhovreb-pirebs-romlebsats-piradobis-neitraluri-motsmobebi-akvt-sotsialuri-datsvis-uketesi-garantiebi-unda-mietset>

²⁵ Promoting and protecting human rights in NGCT, Full report, ENNHRI, September, 2020, ხელმისაწვდომია აქ: <https://ennhri.org/wp-content/uploads/2020/09/Promoting-and-Protecting-Human-Rights-in-NGCT-Full.pdf> გვ. 35-37.

ფართო მანდატს, შეუძლია გახდეს უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი გარანტი ამგვარ კონფლიქტურ სიტუაციებში. სწორედ ამიტომ, ამ ინსტიტუტს უფლებების დაცვის მრავალდონიან მმართველობაში კრიტიკული ადგილი უნდა მიენიჭოს.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია **შიდა პოლიტიკური კონსენსუსი სამშვიდობო პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებებზე და მიდგომებზე**. ამკარაა, რომ პოლიტიკური პოლარიზების და შიდა კრიზისების ფონზე, კონფლიქტები დღეს აღარ არის პრიორიტეტულ საკითხებს შორის და დღის წესრიგი ლოკალურ კრიზისებს უკავია. ამგვარი პოლარიზების გაგრძელების შემთხვევაში კონფლიქტის ტრანსფორმაციის ნებისმიერი პროცესი წარუმატებელი იქნება და, შესაძლოა, სამშვიდობო სიტუაციამ რეგრესივ განიცადოს.

7. პოლიტიკების რისკების დაზღვევის აუცილებლობა

ახალი სამოქმედო გეგმა და სტრატეგია, აუცილებელია იყოს **რეალისტური და მაქსიმალურად ნაკლებად მოიცავდეს იმგვარ პოლიტიკებულ საკითხებს, რომელთა მოგვარების პერსპექტივა მოცემულ პოლიტიკურ რეალობაში არ არსებობს.**²⁶ ამგვარი საკითხების განსახილველად პოლიტიკური და პირდაპირი მოლაპარაკებების სხვა ფორმატებია შესაქმნელი. ხოლო ჩართულობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც უნდა იყოს პირდაპირი პასუხი ორივე მხარეს მცხოვრები ადამიანების საჭიროებებსა და ინტერესებზე, ასევე უნდა ემსახურებოდეს ადამიანური ურთიერთობების აღდგენის მიზანს, არ უნდა მოიცავდეს იმგვარ პოლიტიკურ საკითხებს, რამაც შეიძლება ზემოაღნიშნული ჰუმანიტარული და უფლებრივი მიზნები დააზიანოს. მაგალითად, საკითხები, რომლებიც ეხება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, არალიარების პოლიტიკას, არ უნდა იყოს ჩართულობის სტრატეგიის ნაწილი. გარდა ამისა, არის მთელი რიგი უფლებრივი საკითხები, რომლებმაც უკვე შეიძინა პოლიტიკური ხასიათი, რამაც მათზე, როგორც უფლებებზე, დიალოგი გაართულა. მათ შორის არის დევნილების დაბრუნება, განათლების უფლება, გადაადგილების თავისუფლება, საკუთრების უფლება და სხვ. მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგია ამ საკითხებს ეხებოდეს და მის მოგვარებას ორმხრივ დიალოგს და კომუნიკაციის ფორმატების შექმნას აფუძნებდეს.

8. საერთაშორისო აქტორების მონაწილეობის გაძლიერება

ინიციატივების განხორციელების მიზნით, მნიშვნელოვანია, აფხაზურმა და ოსურმა მხარემ იგრძნოს რომ ეს არ არის მხოლოდ ქართული ინტერესები, არამედ ორივე საზოგადოების საჭიროებებს ერგება. ამისთვის **დაცული უნდა იყოს ნეიტრალურობის და გამჭვირვალობის პრინციპები, სტრატეგია უნდა განხორციელდეს საერთაშორისო აქტორების ადმინისტრირებით (გაეროს/ევროკავშირის/ეუთოს) და დონორების ფინანსური მხარდაჭერით.** ევროკავშირის მიდგომა -engagement without recognition კარგი პლატფორმაა ამ თვალსაზრით, რათა EU რესურსები უფრო მდგრადად მიიმართოს სტრატეგიის

²⁶ Natella Akaba and Iraklii Khintba, Transformation of the Georgian-Abkhaz conflict: rethinking the paradigm, 2011, გვ. 33-35.

განსახორციელებლად. ამისთვის აქტიური მოლაპარაკებებია საჭირო საერთაშორისო დონეზე.

იზოლაციური პოლიტიკა წინააღმდეგობაში მოდის ჩართულობის პოლიტიკასთან და ორივეს ერთად განხორციელების შემთხვევაში, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მუდმივად თვითიზოლაციის პოლიტიკას გააგრძელებენ, უარს იტყვიან თბილისთან ისეთ საკითხებზე თანამშრომლობაზე კი, როგორცაა ადამიანის უფლებები, ჰუმანიტარული და ეკონომიკური ხასიათის პროექტები, რაც უნდა ორმხრივად სასარგებლო იყოს.²⁷ ამიტომ, აუცილებელია გააქტიურდეს საერთაშორისო აქტორებთან მოლაპარაკებები მათი ჩართულობის გასაზრდელად. არადიარების პრინციპებზე, საერთაშორისო აქტორებს, მათ შორის, UN, EU, საერთაშორისო ადამიანის უფლებათა ორგანიზაციებს და სხვ., უნდა ჰქონდეთ თავისუფლება, თავად განსაზღვრონ დე-ფაქტო რეჟიმებთან თანამშრომლობის პლატფორმები. ეს გაზრდის დე-ფაქტო რეჟიმების ჩართულობას დასავლურ ორგანიზაციებთან და შეამცირებს რუსეთზე დამოკიდებულებას, რადგან მათ თანამშრომლობის ალტერნატიული ფორმატები და საშუალებები გაუჩნდებათ.

ასევე, სამშვიდობო პოლიტიკამ, აუცილებელია ცალკე ასახოს ანექსიის წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯები და გაიაზროს, რომ ეს ორი პროცესი ერთმანეთს აკავშირებს და აძლიერებს. ბოლო წლებში აშკარაა, რომ კონფლიქტის რეგიონების ანექსიას რუსეთი უფრო მეტი ინტენსივობით აძლიერებს და ამ რეგიონებს მასზე სრულად დამოკიდებულს ხდის, მათ შორის ბიუჯეტის, სამხედრო საკითხების, სესხების, ეკონომიკური ინვესტიციების თვალსაზრისით.²⁸ ამ მასშტაბის რუსიფიკაცია თავშივე ბლოკავს კონფლიქტის ტრანსფორმაციის ნებისმიერ პროცესს. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გააქტიუროს თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან, ერთი მხრივ, კონფლიქტის რეგიონებთან თანამშრომლობის და ჩართულობის გასაზრდელად (რაც რუსიფიკაციის შემცირებას ხელს შეუწყობს), და მეორე მხრივ, დე-ფაქტო რეჟიმების ლიდერებთან, პირდაპირი დიალოგის გზით თანამშრომლობის ახალი ფორმატების შესაჯერებლად. De facto მმართველებისთვის და საზოგადოებებისთვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალური და უფლებრივი ალტერნატივების მინიჭება არსებითი ინსტრუმენტია რუსული ანექსიის მასშტაბის და ზიანის შესამცირებლად.

9. ინკლუზიურობის, თანასწორობის და მრავალფეროვნების ღირებულებების გაძლიერება ჩართულობის პოლიტიკაში

ნდობის და მშვიდობის მშენებლობის პროცესში კრიტიკული ადგილი უკავია სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის პოლიტიკის საკითხებს. ეთნოპოლიტიკური გამოცდილების მქონე კონფლიქტების ტრანსფორმაცია შეუძლებელია მულტიკულტურული გარემოს და პოლიტიკის მშენებლობის გარეშე. დღევანდელი ინტეგრაციის პოლიტიკა ვერ ხედავს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე

²⁷ Natella Akaba and Iraklii Khintba, Transformation of the Georgian-Abkhaz conflict: rethinking the paradigm, 2011, გვ. 42-44; Tomas De Vaal, Uncertain Grounds, გვ. 30-31.

²⁸ Tomas De Vaal, Uncertain Grounds, გვ. 25-26, 29.

მცხოვრებ აფხაზებს და ოსებს, მათი ინტეგრაციის საჭიროებას და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებს, პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერების და კულტურულ ცხოვრებაში გააქტიურების მნიშვნელობას. ზოგადად, საქართველოში არადომინანტური ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციისა და უფლებების დაცვის კუთხით არსებული გამოწვევები მძიმე გავლენას ახდენს ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მომავალზე. ამიტომ, დოკუმენტში ინკლუზიური, თანასწორი და მრავალფეროვანი საზოგადოების მშენებლობის მნიშვნელობაზე საგანგებოდ მითითება და მათი წამყვან ღირებულებებზე შემოტანა არსებითია.

ცალკე უნდა მიეთითოს მეხსიერების პოლიტიკის მნიშვნელობასა და საჯარო სივრცეებში, საინფორმაციო პოლიტიკაში, საგანმანათლებლო და საგამოფენო სივრცეებში აფხაზური და ოსური კულტურის, ასევე, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური თანაცხოვრების პოზიტიური გამოცდილებების რეპრეზენტაციას.

10. ახალგაზრდების პერსპექტივების და ინტერესების გაძლიერება

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დროის გასვლასთან ერთად, კონტაქტები და ურთიერთობა კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს მყოფ ახალგაზრდებს შორის არსებითად მცირდება. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის 2021 წლის კვლევის თანახმად, ახალგაზრდების უმრავლესობა (72%) პირადად არ იცნობს ადამიანს, რომელიც აფხაზეთში ან ცხინვალის რეგიონში ცხოვრობს; ასევე, პირადი ნაცნობობით თუ მის გარეშე, ახალგაზრდების უმრავლესობას (73%) ბოლო ათი წლის განმავლობაში აფხაზეთის მცხოვრებლებთან ურთიერთობა არ ჰქონია. კიდევ უფრო მცირეა ცხინვალის რეგიონში მცხოვრებლებთან ურთიერთობის გამოცდილება (87%-ს ბოლო 10 წელია მათთან კონტაქტი არ ჰქონია).²⁹ ურთიერთობის ნაკლებობას აღვივებს მუდმივად ცვალებადი შიდა პოლიტიკური რეალობები და საჭიროებები და ცალ-ცალკე ცხოვრების გამოცდილების დაგროვება. აქედან გამომდინარე, კონფლიქტების ტრანსფორმაციის პოტენციური წლიდან წლამდე მცირდება. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამავე კვლევის თანახმად, ახალგაზრდების ინტერესი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენებით, საკმაოდ მაღალია - საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების 62% დაინტერესებულია აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებით, ხოლო ცხინვალის რეგიონით - 58%. ახალგაზრდების მხოლოდ მესამედს აინტერესებს აქ არსებული პოლიტიკური პროცესები. საინტერესოა, რომ ახალგაზრდების უმრავლესობა (66%) მზადაა ჩაერთოს შერიგებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში, თუმცა მესამედი იმასაც ფიქრობს, რომ მთავარობას არ აინტერესებს მათი აზრი კონფლიქტებთან დაკავშირებით.³⁰

სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ჩართულობის ახალმა სტრატეგიამ გაითვალისწინოს ახალი თაობის როლი და ინტერესები, რადგან კონფლიქტების ტრანსფორმაციის რესურსი მეტწილად კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს მცხოვრები ადამიანების ურთიერთობების და კონტაქტების გამოცდილებაზე დგას. ერთ-ერთი მიმართულება კი, ამ მხრივ, შიდა

²⁹ კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, კვლევა, 2021 წ. გვ. 32.

³⁰ იგივე: გვ. 30.

ტრანსფორმაციული პროცესების ხელშეწყობა კონფლიქტის საკითხების მიმართ ზოგადი განათლების სისტემის მგრძობელობით, საინფორმაციო კამპანიებით, კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერით და სხვ.

11. კვლევითი პროექტებისა და სამუშაოების მხარდაჭერა

ოკუპირებული რეგიონების განვითარება, უკვე 30 წელია, მოწყდა საერთო ქართული სახელმწიფოს და საზოგადოების განვითარებას. სახელმწიფო უწყებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია ამ საზოგადოებებსა და თვითგამოცხადებულ პოლიტიკურ სისტემებში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური პროცესების შესახებ. კონფლიქტის მეორე მხარეს მყოფ საზოგადოებებთან შეზღუდული ფიზიკური კავშირების პირობებში ეს გაუცხოება კიდევ უფრო ღრმავდება და ჩვენი წარმოდგენები სტერილური, არაობიექტური და ნაკლოვანი ხდება.

ამ პირობებში, ვფიქრობთ, რომ არსებითია, მთავრობამ, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და აკადემიური ცენტრების დახმარებით, მხარი დაუჭიროს ამ რეგიონებზე ყოვლისმომცველი (ისტორიული, ეთნოგრაფიული, ანთროპოლოგიური, სოციოლოგიური და ა.შ.) დამოუკიდებელი კვლევების ჩატარებას, მიღებული ცოდნა სათანადოდ გადაამუშაოს და კონფლიქტის მშვიდობიანი ტრანსფორმაციისთვის გამოიყენოს.

შეჯამება

სოციალური სამართლიანობის ცენტრი იმედს გამოთქვამს, რომ ჩართულობის ახალი სტრატეგიის შემუშავების დროს გაითვალისწინებენ ზემოთ წარმოდგენილ ხედვებს და მომავალში, ჩვენ და სხვა სამოქალაქო ორგანიზაციებს, მთავრობის მიერ ორგანიზებული განხილვის პროცესში რეალური და საგნობრივი მონაწილეობის შესაძლებლობა მოგვეცემა.